თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1605731

ნომერი: AR1254850

თარიღი : 24.10.2014

გაცემის თარიღი : 20.11.2014

გაცნობის თარიღი : 20.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N 12 / ქალაქი თბილისი , ქუჩა თაქთაქიშვილი , N N12 ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ბახსოლიანი პ/ნ 01024034079
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 17 ბ. 60

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2014 წლის 09სექტემბრის #1467413 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 01 ოქტომბრის #AR1254850 განცხადებით მომართა ნიკოლოზ ბახსოლიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 09 სექტემბრის #1467413 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 09 სექტემბრის#1467413 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა თაქთაქიშვილი, N12 / ქალაქი თბილისი, ქუჩა თაქთაქიშვილი, N12ა, შპს "კოლხი არქიტექსი"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.11.017.026)შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცამშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 08 სექტემბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრისჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა ცალკეული ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი, კერძოდ, საერთო ფართობი 9519.5 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 9732.5 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 5639.9 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 5539.9 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართობი 1104.5 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1087.9 კვ.მ.–ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 551.9 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 879.5 კვ.მ, ხოლო სასაწყობე ფართობი 126.9 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 128.9 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელები შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 09 სექტემბრის #1467413 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 9732.5 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 5539.9 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 1087.9 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს879.5 კვ.მ, ხოლო სასაწყობე ფართობად მიეთითოს 128.9 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 09 სექტემბრის#1467413ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.